



## საქართველოს მთავრობის განკარგულება


№552 2015 წლის 19 მარტი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ  
განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 159-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ივლისის №118 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში, სკოლა-სახელოსნოს - „ქვევრის სახლისათვის“ ქვევრის დასამზადებელი ტექნოლოგიური დანადგარებისა და მოწყობილობების შესყიდვა;

ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული „რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB)“



ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 05) გათვალისწინებული  
საბიუჯეტო სახსრების ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი